

პერიოდი	შეხვედრების საერთო რაოდენობა	შეხვედრების ადგილი ქალაქი (უბანი, ქუჩა), დაბა (უბანი, ქუჩა), სოფელი	ძირითადი იდენტიფიცირებული პრობლემები	რა რეაგირება მოახდინა დეპუტატმა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე	რა შედეგი მოჰყვა დეპუტატის რეაგირებას, მოგვარდა თუ არა პრობლემა
<b>პასუხები წარმოდგენილია დეპუტატის მიერ მოწოდებული სახით</b>					
II კვარტალი 2022	34	მოსკოვის გამზირი N14, მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო.	დასაქმების საკითხები	გაეწიათ შუამდგომლობა შესაბამის სამსახურებთან	ვაკანსიის არსებობისას კანდიდატის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისას რიგი მოქალაქეებისა დასაქმდა, რიგი ჩაირიცხა რეზერვში, ნაწილს ეთქვა უარი.
			მკურნალობის, მედიკამენტებით და სხვა სოციალური პრობლემების დაფინანსების საკითხები	ბიუროს ჩართულობით გაეწიათ დახმარება საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში, რის შემდეგაც შუამდგომლობა გაეწიათ, გამგეობის, მერიის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებში.	შუამდგომლობის წერილები განხილულ იქნა შესაბამის კომისიებზე, ძირითადი ნაწილი დაკმაყოფილდა მოთხოვნის შესაბამისად.
			სახელმწიფოსგან დაუკმაყოფილებელი დევნილების გრძელვადიანი განსახლების პრობლემები	ბიუროს მხრიდან თითოეული ოჯახის საკითხი შესწავლილი იქნა დევნილთა სააგენტოს ჩართულობით.	თითოეულ ოჯახს მიეცა ამომწურავი ინფორმაცია დევნილთა სააგენტოში მოქმედი პროგრამების შესახებ. ერთ ოჯახს დევნილთა სააგენტოს მხრიდან დაენიშნა ქირა მათი საკითხის შესწავლის შემდეგ.
			ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების საკითხები	გადაიგზავნა შუამდგომლობის წერილები გამგეობაში, მერიის შესაბამის სამსახურებში, ასევე კომპანია ჯი ვი პი -ში და კომპანია "თელას"-ში	მოხდა ნაწილი პრობლემების დაუყოვნებლივ მოგვარება, ხოლო ნაწილი საბიუჯეტო თანხებიდან გამომდინარე დაფინანსდება მომავალში.
			უსახლკაროს სტატუსის მოთხოვნა	მოქალაქეთა განცხადებები გადაიგზავნა ქალაქ თბილისის მერიაში	უმეტეს ნაწილს ეთქვა უარი სტატუსთან დაკავშირებით მერიის შესაბამისი სამსახურის კომისიის გადაწყვეტილებით. ერთი ოჯახის საკითხი განხილვაშია.
	საჯარო შეხვედრები	ლილოს დასახლება მშენებარე საბავშვო ბაღის ეზო	საკითხი ეხებოდა საბავშვო ბაღის ექსპლუატაციაში დროულად შესვლას. შეხვედრა განხორციელდა უბანში მცხოვრებ სკოლამდელი ბავშვების მშობლებთან.	საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებული იქნა ბაღების სააგენტოს დირექტორი ბატონი კ. გვანცელაძე.	სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით საამშენებლო კომპანია გვპირდება, რომ ბაღი ექსპლუატაციაში შევა დათქმულ ვადებში

	საჯარო შეხვედრები	აფრიკა, ჭიჭინაძის ქუჩა, მშენებარე საბავშვო ბაღის ეზო	საკითხი ეხებოდა საბავშვო ბაღის ექსპლუატაციაში დროულად შესვლას. შეხვედრა განხორციელდა უბანში მცხოვრებ სკოლამდელი ბავშვების მშობლებთან.	საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებული იქნა ბაღების სააგენტოს დირექტორი ბატონი კ. გვანცელაძე.	სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით საამშენებლო კომპანია გვპირდება, რომ ბაღი ექსპლუატაციაში შევა დათქმულ ვადებში
	საჯარო შეხვედრები	მოსკოვის გამზირი, ე.წ. სატანკო ქარხნის მიმდებარე ტერიტორია	სარეაბილიტაციო სკვერის ინფრასტრუქტურული მოწყობის საკითხები.	შეხვედრა განხორციელდა თბილისის მერთან და სამგორის გამგეობის წევრებთან ერთად	სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტიდან გამომდინარე მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილდება
	საჯარო შეხვედრები	124-ე საჯარო სკოლა	საზეიმო ღონისძიება სპორტული დარბაზის გახსნასთან დაკავშირებით	ღონისძიების შემდეგ შეხვედრა შედგა პედაგოგიურ კოლექტივთან და მშობლეთა აქტივთან, საუბარი ეხებოდა სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხებს.	ბავშვების თხოვნით დეპუტატმა მონაწილეობა მიიღო საჭადრაკო ტურნირში.
	საჯარო შეხვედრები	ვიქტორ კუპრადის 2ა. დევნილთა ახალშესახლ ებული კორპუსები	შესახლების შემდეგ საცხოვრებელ ფართებში ინდივიდუალურად გამოვლენილი მცირედი ხარვეზები	დევნილთა სააგენტოს მეშვეობით ინფორმაცია მიეწოდა საამშენებლო კომპანიას.	ვინაიდან, კორპუსის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ საგარანტიო ვადა გასული არ არის კომპანიამ თავის თავზე აიღო ხარვეზების აღმოფხვრა. ამასთანავე, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მცირეწლოვან დევნილ ბავშვებს დეპუტატის მხრიდან გადაეცათ ტკბილეული და საჩუქრები.